ფინალში მასპინძლები გავიდნენ

”დინამო” (კიევი) – ”დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი, 29 აპრილი.

კიევი: ჩანოვი (მიხაილოვი), სოროკალეტი, ბალტაჩა, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ბალი, ბოიკო, ევტუშენკო (ხაპსალისი), ბლოხინი (მიხაილიჩენკო).

თბილისი: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, ჩელებაძე, თავაძე, შენგელია.

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ხიზანიშვილი, დარასელია.

მაყურებლები - 99.700.

სსრ კავშირის თასის ამ საპასუხისმგებლო ნახევარფინალურ მატჩში ორივე გუნდს აკლდა წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ შეიძლება ითქვას, თბილისელთა დანაკლისი უფრო მნიშვნელოვანი იყო - მეტოქის მინდორზე იგრძნობოდა ყიფიანის, გუცაევის, კაკილაშვილისა და ცავას არყოფნა.

მიუხედავად ამისა, თბილისელებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან: ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში რამდენიმეჯერ ჩაება თამაშში მეკარე ჩანოვი, მე-14 წუთზე მან ძლივს მიუსწრო ჩივაძის უძლიერეს დარტყმას.

ანგარიში გაიხსნა მე-17 წუთზე, კიეველი სოროკალეტი დრიბლინგით გავიდა მარცხენა ფრთაზე, მიაწოდა კარის წინ, სადაც თავით ზუსტად ითამაშა ევტუშენკომ - 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ თბილისელებმა მოუმატეს ტემპს, საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობები ჰქონდათ თავაძეს, შენგელიას.

სტუმრები აქტიურად თამაშობდნენ მეორე ტაიმშიც, მაგრამ, როცა 65-ე წუთზე ბურიაკმა დაარტყა საჯარიმო, ბურთი მოხვდა თბილისელთა ერთ-ერთ მცველს და მათი კარის ბადეში აღმოჩნდა. მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა.

სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი გაიმართება 9 მაისს. ერთმანეთს შეხვდებიან ”დინამო” (კიევი) – ”ტორპედო” (მოსკოვი).

”ლელო”, 29 აპრილი, 1982 წ.